ბი, ქონებისა და ბიზნესის ყანაღურად წართმევა. არაფერია ნათქვამი ნაცების ხელი-სუფლების ბარბაროსობაზე 26 მაისსა და 7 ნოემბერს, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის, კოდორის ხეობისა და ლენინგორის გაყიდვაზე, უგუნური 3-დღიანი ომის დაწყებაზე რუსეთთან, სამარცხენო დამარცხებაზე უდიდესი მსხვერპლითა და გამოძევებული დევნილებით, რაც გრანდიოზული ზარ-ზეიმით აღნიშნა. არაფერია ნათქვამი ამ მარცხის შემდეგ ქვეყნის აუარებელი სტრატეგიული ობიექტის რუსეთისთვის გადაცემაზე. დადებითად არის შეფასებული ავღანეთში ჩვენი უგუნური მისია, სადაც ჩვენი ახალგაზრდები იღუპებოდნენ ან დასახიზრებულნი გვიბრუნდებოდნენ, ვითომ გვაკლდა მსხვერპლი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. სააკაშვილმა დედამისის კაპიკებად გადასცა მილიონებად შეფასებული ქონება, მომხვეჭელ და უნამუსო **პანა ბანდუშიძე** ჩვენი სამრეწველო პოტენციალი განაივებინა და სხვა მრავალი ბოროტება, რომლებიც სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ხდებოდა.

რატომ ვასნავლით ახალგაზრდებს დამახინჯებულად უახლეს ისტორიას?
ბატონო ბიძინა! სამწუხაროდ, ნეპოტიზმით გაუღენთილი თქვენი საკადრო პოლიტიკა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. თქვენმა შერჩეულმა, სრულიად დაუმსახურებლად თანამდებობებზე დაინიშნულმა ხალხმა და პარლამენტში წამოსაკლებულმა, მთავრად და მთავრად დაფინანსებულმა მრავალმა გარეწარმა გადალახათ და მტრად გადაგვიყიდათ. რატომ, რას ფიქრობთ? ვფიქრობ, თქვენ არ იცნობთ საქართველოში კეთილგონიერ, განათლებულ, გამოცდილ პროფესიონალებს, ღირსეულ პიროვნებებს, თავიდანვე თქვენ ირგვლივ რომ შემოგაქრიათ. უფროსად უნდა მოყვარული ჭეშმარიტი მამულიშვილები მრჩეულებად და კონსულტანტებად რომ მიგვეწვიოთ, ქვეყნის განვითარებასა და ეკონომიკურ წინსვლას ვერაფერი დააბრკოლებდა. მრჩეულები სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით უნდა შეგერჩიათ. მაგალითად: ეკონომიკის, ფინანსების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის

ბიძინა ივანიშვილის მიერ საქართველოში განეული დიდი ქველმოქმედება და დახვეწილი დიდი უახლოვება



ისტორია 9

საქართველოსა და მსოფლიოს

სურ. 5 საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

ზემოაღნიშნულ ისტორიის სახელმძვანელოში სააკაშვილის აღზავების პერიოდი გადგომულია ასევე ზეჩაღად და სრულიად არაკომპეტენტად: თითქოს მან მოახერხა კორუფციის დაქვავა ყველა სფეროში, თითქოს სააკაშვილი და მისი ხელისუფლება ელიტარულ კორუფციას ყელაღად არ იყო ჩაფლული. გადახდომილად არის უფასოებული ეკონომიკის ბაზრობის დახურვა, სრულიად უდანაშაულო აღამიანების დაჭრა, ნაგებ, მხეხური ხეით სიკვდილის პირას მიყვანა, მკვლელობები, ქონებისა და ბიზნესის ყანაღურად წართმევა

ის, ჯანმრთელობის, განათლების, კულტურისა და ბუნებრივი რესურსების პოტენციალის გამოყენების, სახელმწიფოს პერიოდში ხდებოდა. ა.შ. მიხედვით.

ამ პრინციპით რომ გეხელმძღვანელოთ და არა პირადი ერთგულებითა და სიმპათიანტიპატიით, დღეს ბევრი ახალი სანარმო გვექნებოდა, არსებული სანარმოების მოდერნიზაცია და გადაიარღობით კი უამრავი ხალხი დასაქმდებოდა, უმუშევრობა საგრძნობლად შემცირდებოდა და დამამცირებელი და შეურაცხყოფელი სამუშაოების შესასრულებლად უცხოეთში აღარავინ გადამხვეწებოდა. ანალოგიური რამ მოხდებოდა სოფლის მეურნეობის განვითარების შემთხვევაშიც. სოფელი არ დაიცილებოდა და არ გაპარტახდებოდა, ოჯახები არ დაინგრეოდა, დოვლათი გამრავლდებოდა, უცხოეთიდან მდარე ხარისხის პროდუქციის შემოღებება მკვეთრად შემცირდებოდა.

რაც მთავარია, შემოსავლები და ბიუჯეტი საგრძნობლად გაიზარდებოდა და სახელმწიფო დოტაციაზე არსებული დარგები განვითარდებოდა. დამატებით უნდა შეცვალოთ კადრების შერჩევისა და დანიშნულების პოლიტიკა. ქვეყნის ეკონომიკის მართვის მეთოდები. იქაერთ ფრთხი-

ლად და დაკვირვებით! 9 წელია, ხალხი მხარს გიჭერთ, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ითვალისწინებთ მათ სამართლიან მოთხოვნებს. უსმინეთ ხალხს და არა პარტიებს, მით უმეტეს უცხოელ მრჩეველებს, „ექსპერტებს“ და ვაიჭყუისდამრიგებლებს.

დაგვიანებულია, მაგრამ სამი წელი წინ გაქვთ. ბევრი რამის გამოსწორება და მოსწრება შეიძლება. დროს ნუ დასკრავთ ოპოზიციასთან უნაყოფო ჭიდილში; მით უმეტეს, შეუცხადებლად სააკაშვილის გარემოცვასთან და უცხოეთის შემადგენელ მიკროოპულ მენტორებთან. ამ თავზედ ბრბოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ეკთილდებოდა არ სურს, თორემ რუსეთთან ომის დამწყებ, ტერიტორიების დამკარგავ მისი ოცი წლის განმავლობაში მძარცველ, სისხლიანი რეჟიმის შემოქმედს, მართამდიდებლობისა და ეკლესიის მგომელებს, ხალხის მჩაგვრელს, არაჩვეულებრივი ძეგლების ამფეთქებელს, ფსიქიკურად შერყეულ სააკაშვილს თითქმის ოცი წლის განმავლობაში რატომ უნდა უჭერდეს მხარს ამერიკა და ევროპა? ამერიკა-ევროპის მიერ თავსმოხვეული კადრები ჩვენი მტრობის მეტს არაფერს აკეთებენ. ე.წ. სახალხო დამცველი **ნილო ლომჯარია** და მისი წინამორბედი, მანქურთი **უჩა ნანუაშ-**

ვილი მოსწონთ **პარლ პარტელსა** და **კელი დებანსი**, იმიტომ, რომ იდგნენ და დგანან მათი მითითებების სადარჯლოზე. ეს პირები ხომ მათი მოთხოვნით დაინიშნენ ამ საპარლამენტებლო თანამდებობებზე.

ჩვენ გლობალურ პანდემიას მოვიშორებთ, მაგრამ მათი „წყალობით“ მიშა მოუშორებელი ვირუსად იქცა. მიშა, რომელიც ოფიციალურ მიღება-

ზე გამოცხადდა ნასკებში ჩატენილი მარვლით, შარვალის უკულმა ეცვა და ტრიბუნასთან იჯგიმებოდა. ეს კადრები მსოფლიომ იხილა. მიხეილ სააკაშვილს სალორესაც ვერ ანდობ, უცხოელმა „კეთილისმეტყველებმა“ კი ქვეყნის მმართველად დაგვასვეს თავზე და ახლაც ანალოგიურის გამეორებას ცდილობენ.

ოთარ მარგველაშვილი

P.S. ჩვენს მაღლიან მიწაზე მონეულ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს იშვიათად იხილავთ ბაზარში ან სუპერმარკეტში. ამას წინათ ვნახე, რვა სახის ყურძენი იყიდებოდა. გამოცდიველმა მითხრა, — ბატონო, რვავე სომხეთიდან არის ჩამოტანილი. გავოცდი. სირცხვილია, რომ ეს ხდება ვაზისა და ღვინის ქვეყანაში. ვინც შრომობს, ბაზარზეც ის უნდა ბატონობდეს. ზვრებში, ყანებში, ბაღებში, მინდვრებში რომ იშრომონ, ვინდა ივლის გაუთავებელ და დაუმთავრებელ, შემადგენელ მიტინგებსა და აქციებზე? ცხოვრებაგავილი კაცი ვარ, რა არ გამივიცა, მაგრამ საყოველთაო შიმშილი, ისიც 6 თუ 8 წლის განმავლობაში, ღმერთმანი, არ მსმენია.

ბატონმა ნოდარ ჭითინავამ, აღიარებულმა მეცნიერმა, წარმატებულმა და ცნობილმა სამეურნო ხელმძღვანელმა, გამოცდილმა ეკონომისტმა, დოქტორმა, პროფესორმა, ღირსეულმა პიროვნებამ ამას წინათ გამომიგზავნა თავისი ახალი არაჩვეულებრივი ნიგნ-ნაშრომი, წლების განმავლობაში დაჯავაფა: „საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის ხილული და უხილავი პრობლემები“. ვურჩევ ყველას, ვინც დაინტერესებულია ჩვენი სამშობლოს წინსვლით, ეკონომიკური სიძლიერით, ქვეყნის განვითარებით, აუცილებლად დაკვირვებით წაიკითხოს ეს ღრმად მეცნიერული ნიგნი, რომელიც სრულიად ახალი სიტყვაა ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში, თავისი დატვირთვით, სტრუქტურით, მოცულობითა და დახვეწილი მოსაზრებებით. მადლობა ბატონ ნოდარს!

ო.ა.



www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ზურაბ ანჩაბაძე არა მხოლოდ ცნობილი მეცნიერი იყო, არამედ კარგად განათლებული და აღზრდილიც. იცოდა ფრანგული ენა, ერკვეოდა ხელოვნებაში, მუსიკაში, უკრავდა გიტარაზე და მღეროდა. მის რეპერტუარში რუსული რომანსების გვერდით ყოველთვის იყო ღები იმხანაობის რეპერტუარიც. ცხადია, იმ საღამოსაც მოწინაინდომებდა ბატონი ზურაბის შესრულებით რომანსებიც და ქართული ჰანგამიც. ბატონ ზურაბს ალავარი ივანე თარაბამ ჩამოართვა. ისიც შესანიშნავად ფლობდა ქართულ ენას. მის გარემოცვაში ყოველთვის იყვნენ ქართველებიც. დაბა გულრიფში მისი აბაბაძე ნოდარ ღუმბაძის აბაბაძის გვირგვინი იდგა.

გვიანი შემოდგომა და ზამთარი აფხაზეთში ცივი და წვიმიანია, დეკემბრის მეორე ნახევარში ხშირია დიდთოვლობაც. ამბავი, რომელსა მოგიტხრობთ, 1979 წლის 31 დეკემბერს მოხდა.

ახალ წელს, ტრადიციულად, ოჯახი თბილისში ვხვდებით. დედაქალაქში უკვე გავეზარდეთ მეუღლე და ქალიშვილი, თავად კი 31 დეკემბერს საღამოს რეისით სოხუმიდან უნდა გავფრენილიყავი. დღის მეორე ნახევარში ამინდი მკვეთრად გაუარესდა, დაიწყო ინტენსიური თოვა და გაფრენის შანსიც შემცირდა. აეროპორტში საინსტიტუტო მეურნეობის დირექტორ **ვიქტორ ხიშკას** მანქანით წავედი. სადგურსა და ავიაგაზაფხანს შორის სოხუმის პედინსტიტუტის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ანჩაბაძე** შემხვდა, ისიც თბილისში მიემგზავრებოდა. მე და ბატონი ზურაბი სოხუმში ერთ სადარბაზოში ვცხოვრობდით და დროდადრო ვსტუმრობდით ერთმანეთს. იგი აფხაზი თავადების (მგონი, მთავრებისა) შთამომავალი და იგივე განათლებული კაცი იყო. სპეციალობით ისტორიკოსი, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის კარგი მცოდნე და მკვლევარი გახლდათ.

— ნაპოლეონ, შენც, ალბათ, თბილისში, ხომ? — მკითხა და განაგრძო, — ახლახან აეროპორტის უფროსი, ხაინდრავა, იყო აქ და განაცხადა, რომ თვითმფრინავი ჯერ თბილისიდან არ გამოფრენილა და, ალბათ, რეისიც გადაიდგა. — კი მაგრამ, აეროპორტში საფრენი ბილიკის გასაწმენდი ტექნიკა ხომ აქვთ?! — შევეპასუხე მე.

— თოვა ისეთი ინტენსიურია, რომ ტექნიკა ვეღარ შეშაობს, არის ხილვადობის პრობლემა, — მიპასუხა მან. ჩვენი საუბრისას დარბაზში ისევ გამოჩნდა აეროპორტის უფროსი და ჩვენივე გამოემართა.

— ბატონებო, ვწუხვარ, მაგრამ დღეს ფრენა აღარ იქნება, რეისი დროისთვის გადაიდო. დილით თავად დაგირეკავთ, მდგომარეობას გაცნობებთ, — გვითხრა მან. უნებურად საათს დავხედე, საღამოს 8 საათი და 30 წუთი იყო.

— მე მანქანა მოსვლისთანავე გავეშვი, იმედია, შენი ჯერ კიდევ აქაა, — მითხრა ანჩაბაძემ. რაღაც ვიზამდით, მანქანაში მოვკალათდით და სოხუმის გზას დავედევით. ცოტახნით ჩემს ინსტიტუტში შევიარეთ, რომელიც კვლასურში იყო მდებარეებული და ოჯახზე და დამომარეობა შევატყობინეთ.

იძის, სამუშაო კაბინეტის ფანჯრები, რომლებიც გაჩახჩახებულნი იყვნენ. — საღამო მშვიდობისა, ავთანდილ, რა გეგმები გაქვს საღამოსთვის? — ვკითხე ტელეფონით. — რა გეგმები უნდა მქონდეს?! აგერ, ვსხედვართ მე და **მოსკალეკო** (აფხაზეთის პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი — ნ.ქ.) და ველოდებით, იქნებ, ვინმე შეგვეხიზნოს, — მიპასუხა მან. — როგორც ვხედავ, კარგდროს გირეკავ. გელოდებით, ჩემთან არის ზურაბ ანჩაბაძე, დაფურეკავ **გოგი შორაშოლიანსაც** (პარტიის სოხუმის ქალაქკომის პირველი მდივანი — ნ.ქ.). იმხანად ბატონ გოგისთან ცნობილი აფხაზი პოეტი, კარგი მოქართულე და ჩვენი საერთო მეგობარი **მურმან ნაყოფიანი** იყო. ცხადია, ისიც მოვიწვიე. შემოგვიერთდა ჩემი კარის მეზობელიც, პარტიული ფუნქციონერი **ბალატიონ ნაჭყვია** — განათლებული, მსოფლიო ლიტერატურის კარგი მცოდნე და, რაც მთავარია, იუმორის დამფასებელი და თავდაცვითი კარგი მთხრობელი. სტუმრები მალე მოვიდნენ და 1979 წლის 31 დეკემბერს სუფრასაც მივუჯექით ხუთი ქართველი, სამი აფხაზი და ერთი უკრაინელი.

თამალობა, ტრადიციულად, ბატონმა ავთანდილმა „მისაკუთრა“. იგი ნაკითხი, ქართული და რუსული ლიტერატურის კარგი მცოდნე, იუმორის დამფასებელი და, რაც მთავარია, ბრწყინვალე თამადა იყო. მან მიმავალი 1979 წელი შეაფასა, გაიხსენა გაკეთებული საქმეები: „ბევრი რამ ვერ გავაკეთეთ, მაგრამ, რაც გაკეთდა, ხარისხიანად გაკეთდა. ლიდავაში აშენდა ახალი დასახლებული კომპლექსები, მოქანდაკე **ზურაბ ნარტიელმა** დაამთავრა მოზაიკური პანორამა...“ კიდევ ბევრი რამ თქვა საინტერესო და დიპლომატიურად ცენტრალურ ხელისუფლებასაც „გაპურა კბილი“. თამადამ გაიხსენა ქალაქ ნოვოსიბირსკში უნივერსიტეტის გახსნა და მის რექტორად **ილია ვეპუას** დანიშნა, რომლის მონაღებსაც მთელი ქვეყნიდან გამოეხმარნენ ცნობილი მეცნიერები, მიატოვეს „ანყოფილი“ ცხოვრება და გაემგზავრნენ იმ უნივერსიტეტში სამუშაოდ, რომლის რექტორიც მათთვის (და არა მხოლოდ მათთვის) ავტორიტეტით გახლდათ. მოგვიანებით, არანოვოსიბირსკი, ფაქტობრივად, გახდა რუსეთის მესამე სახელმწიფო ქალაქი მოსკოვისა და ლენინგრადის შემდეგ. საქართველოშიც ძნელდებოდა მისი ავტორიტეტი, რომლის ირგვლივაც ირავებოდნენ სხვები. კიდევ ბევრი რამ გაიხსენა საქართველოს ისტორიიდან ავთანდილმა.

მისი სადღეგრძელო განაგრძო ზურაბ ანჩაბაძემ: — ბატონებო, — განაცხადა მან, — პატარა ერებს უფრო სჭირდებათ დიდი და ბრძენი ადამიანები. მე ისტორიკოსი ვარ და კარგად ვიცი ასეთი ადამიანების ფასი. ისტორიულად, დიდი ქართველების

ხუთი ქართველი, სამი აფხაზი და ერთი უკრაინელი სასხალწლო სუფრაზე სოხუმში ეპქ, ნეტავი, იმ დროს!



ნაპოლეონ ქარაბაძე

«შეოფრობა იყო და რთველიც ვნახე, უკრინს დანერგავ და ჩარჩხალებს აპოვლებავ. კახეთში სა მღვანელებს ვიყვარებდი. ჩვენთან ერთად ნაპოლეონ ბატონი ნაპოლეონის მეგობრები, ქაღის მარჯან, კახური ლეონოზ ბეკრი და მალაქიანი და აფხაზეთშიც გამომატანეს. მე ვარ რუსეთში ნამყოფი, სამხედრო სამსახური იქ გავატარე. ვყოფილვარ ჩეხოსლოვაკიაშიც, სხვაგანაც, მაგრამ ასეთი შთაბეჭდილებებით დატვირთული არსაიდან ნამოვსულვარო და ასე შემდეგ. მაგის ნევრები ვიქტორს ყურადღებით უსმენდენ, მან კი თავისი გამოსვლა საქართველოს სადღეგრძელოთი დაამთავრა. მე რე თქვა, — ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ ამ შემადგენლობით მომავალში ხიშკების მამულში მენვევით სტუმრადო. აქვე დავექნე, რომ ხიშკებს ხშირად ვსტუმრობდი და მათ შორის იმ ხალხთან ერთადაც, რომლებიც მან იქ გულწრფელად მიიპატიჟა. ბატონი ვიქტორი ადრე წავიდა წუთისოფლიდან. მე მის ოჯახთან კავშირი თბილისში გადმოვსვამდე, ანუ 1990 წლამდე არ გამიწყვეტია...»

გვერდით ძნელდებოდა ჟამს ყოველთვის იდგნენ დიდი აფხაზები, — მან ნათქვამი ისტორიული ფაქტებითაც გაამყარა და განაგრძო, — ისტორიაში ბევრი მაგალითია, როდესაც საქართველოში მიდიოდნენ აფხაზეთის დასახმარებლად. ჩვენი ვალაი ასეთი ფაქტების გამოვლენა და საზოგადოებისთვის მიწოდება. კიდევ ბევრი რამ თქვა ბატონმა ზურაბმა. იგი არა მხოლოდ ცნობილი მეცნიერი იყო, არამედ კარგად განათლებული და აღზრდილიც. იცოდა ფრანგული ენა, ერკვეოდა ხელოვნებაში, მუსიკაში, უკრავდა გიტარაზე და მღეროდა. მის რეპერტუარში რუსული რომანსებიც გვერდით ყოველთვის იყო დიდი **იმხანაობის** რეპერტუარიც. ცხადია, იმ საღამოსაც მოწინაინდომებდა ბატონი ზურაბის შესრულებით რომანსებიც და ქართული ჰანგამიც. ბატონ ზურაბს ალავარი ივანე თარაბამ ჩამოართვა. ისიც შესანიშნავად ფლობდა ქართულ ენას. მის გარემოცვაში ყოველთვის იყვნენ ქართველებიც. დაბა გულრიფში მისი აბაბაძე ნოდარ ღუმბაძის აბაბაძის გვირგვინი იდგა

და მათ შორის გავლენიანი ლობის ჭიშკარი თითქმის ყოველთვის ღია იყო. იმ საღამოს ვანომ ნაგვიკითხა **ბალატიონის** „ლურჯა ცხენები“ და მისი აფხაზური ვერსიაც, რომელიც თვითონვე თარგმანა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებმა არ ვიცოდით აფხაზური ენა, თარგმანი უღერადონაწილედ გაიხდინო, ამბობთ მივხვდით, როგორი პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ საქმეს ბატონი ივანე. შემდეგ მან რუსულ ენაზე ნათარგმნი თავისი ლექსებიც წავიკითხა, რომლებიც ასევე დიდი საამოვნებით მოვისმინეთ და ავტორიც დამსახურებულად შევაქეთ.

იმ საღამოს გოგი შორაშოლიანიც აქტიურობდა. იგი თეატრალი გახლდათ და მეგობრობდა ცნობილ მსახიობებსა და რეჟისორებთან. „თეატრი ისტორიისა და დღევანდელი ონანილედ გაიხდინო, ამბობთ ანარეკლია. კარგად დადგმული სპექტაკლი მაყურებელსაც აიყოლიებს და თანამონაწილედ გაიხდინო, ამბობთ. მის გარემოცვაში მინახავს **პროსი მანჯარაძე, მადამ ჩახაძე, რამაზ ჩხიკვაძე, ანანო პანაძე**... მახსოვს

სადაც ბატონ ნაპოლეონის სათანადო შეგზავნით და, ცხადია, იქაც დიდებულად მიგვიღეს. თბილისში ორ დღეს დავრჩით. ქალაქი დავათვალიერე, რუსთაველზეც გავისეირნე, ავედით ფუნიკულიორზე და ა.შ. ძალიან შთაბეჭედავი იყო კახეთში სტუმრობა. შემოდგომა იყო და რთველიც ვნახე, ყურძნის დაწურვაც და ჩურჩხელების ამოვლებაც. კახეთში სამ დღეს ვიმყოფებოდი. ჩვენთან ერთად ნამოვიდნენ ბატონ ნაპოლეონის მეგობრები, ქუდიც მარჯანს, კახური ლეონოზ ბეკრი დამალევიანს და აფხაზეთშიც გამომატანეს. მე ვარ რუსეთში ნამყოფი, სამხედრო სამსახური იქ გავატარე. ვყოფილვარ ჩეხოსლოვაკიაშიც, სხვაგანაც, მაგრამ ასეთი შთაბეჭდილებებით დატვირთული არსაიდან ნამოვსულვარო და ასე შემდეგ. მაგის ნევრები ვიქტორს ყურადღებით უსმენდენ, მან კი თავისი გამოსვლა საქართველოს სადღეგრძელოთი დაამთავრა. მე რე თქვა, — ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ ამ შემადგენლობით მომავალში ხიშკების მამულში მენვევით სტუმრადო. აქვე დავექნე, რომ ხიშკებს ხშირად ვსტუმრობდი და მათ შორის იმ ხალხთან ერთადაც, რომლებიც მან იქ გულწრფელად მიიპატიჟა. ბატონი ვიქტორი ადრე წავიდა წუთისოფლიდან. მე მის ოჯახთან კავშირი თბილისში გადმოვსვამდე, ანუ 1990 წლამდე არ გამიწყვეტია...

— როგორც ვატყობ, ჩემი ჯერიც მოვიდა, — თქვა მოსკალეკომ და ნამოდა. მეც მინდა შევსვა საქართველოსა და აფხაზეთის სადღეგრძელო. ქვეყნისა, რომელმაც დედასთან ერთად მეც შემეფარა, დამასახლა, უმალესი დამამთავრებინა და მომცა შესაძლებლობა, ვივხედე თქვენთან ერთად სადღესასწაულო სუფრასთან... მან კიდევ ბევრი რამ თქვა, მაგრამ არა როგორც უკრაინელმა, არამედ როგორც საქართველოს მკვლევარმა: მე საქართველოს ჩემს სამშობლო ვთვლი და ამით ვამყობო.

სუფრა დიდხანს გაგრძელდა, მხოლოდ დღის 5 საათზე დავიშალეთ. იმავე შემადგენლობით 1980 წლის პირველი იანვარი, საღამოს შვიდისთვის გალაკტიონ ნაჭყვიას ოჯახში ვუსხედით სუფრას. კარგადაც მოვიხიხეთ.

1979 წლის 31 დეკემბერს ჩემთან შეკრებილი ადამიანები ერთმანეთს ღვინის სმამი კი არა, სიყვარულსა და თანადგომამი ვეჯობებოდი და დღესაც მჯერა, რომ სუფრის ნევრები გამოთქმებში გულწრფელი ვიყავით.

სამწუხაროდ, იმ ადამიანებიდან ცოცხალი მხოლოდ მე დავრჩი...
...ეპქ, ნეტავი, იმ დროს!

ნაპოლეონ ქარაბაძე

მსოფლიო
სიახლოვა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დროთა ბრუნვაში რომ ეს ამოღება ღალა წაართვა ჩვენს სიცოცხლესა, სამაგიეროდ რა ნუგები მოგვცა, რა გვითხინა, რა მოგვამოგვინა, რა დაგვამუნათა?“ ჩვენც იმეხს გავუმოგვინებთ ჩვენს დიდ წინაპარს, რასაც თვითონ ამოგვდა დიდი ხნის წინათ: „რომ გვეთქმოდეს – გვერი არაფერიო, ცოტა მაინც საბუნებრივი გვექნებოდა. საქმე ის არის, რომ სულ არაფერი მოუცინა, და ეს რა ნუგებია. მიღიან დღენი, მიღიან წაღნი და ჩვენ ისევ ისე პირდაღებულნი ვართ, ისევ ისე ხელცარილნი, რომორც ვყოფილვართ, და ვიძახით: სად წავიდეთ, ვინ შევჩვილოთ, ვინ ვუთხრათ, ვინ განგვიღებს დახვულ ქარებს ბედისას?“

რუბრიკას უძღვება დარეჟან ანდრიაკი

„აი ესეც ახალი წელიწადი და არ ვიცით, რა მოგილოცოთ: წასვლა ძველისა თუ მოსვლა ახლისა. ან ერთში რა ყრია, ან მეორეში, ვერ გამოგვიცვნი“. სამწუხაროა, რომ ილიას ამ სიტყვების გამეორება დამჭირდა ჩემს მკითხველთან ახალი, 2022 წლის ზღურბლზე. მართლაც და, რა სიხარული მოგვიტანა 2021-მა, რომ მასთან განშორება გაგვიჭირდეს ან მაღლიერებმა დიდი ზარ-ზეიმით გავაცილოთ? არც მომავალ წელიწადს უჩანს საიმისო პირი, რომ ოცნებები აგვისრულდება — რომ უპირო ხელისუფლება პირიანი გახდება, ვაიპოლიტიკოსები კი — ხალხის გულწრფელი გულშემატკივრები; პირფერობას, მლიქვნელობას, პატივმოყვარეობას, ღალატს, ურცხვობას თავმდაბლობა, თავდადება, ერთგულება, ურთიერთპატივისცემა ჩაანაცვლებს.

„წასვლა ძველისა თავის-თავად ბევრი არაფერი სასიხარულოა“-ო, — ილიამ, — „პირი-ქით, სანადვლეელი უფროა. ჯერ იმიტომ, რომ კარგი იყო თუ ავი, მაინც შეჩვეული ვართ იყო და შეჩვეული ვართ ხომ ზოგჯერ ქართველისათვის შეუჩვეველ ლხინსა სჯობია. მეორე იმიტომ, რომ ძველი წელიწადი წავიდა და სასიცოცხლოდ მოთვლილ დღეთაგან თვითოეულს ჩვენგანს მოაკლდა მთელი სამას სამოცდახუთი დღე და სამას სამოცდახუთი დღით ახლო მიუვადით იმ აუცილებელს სადგურს, საცა შესვლა და გამოსვლა აღარა. ნუთუ ეს მისალოცველია და სასიხარულო ხუმრობაა, თთელი სამასსამოცდახუთი თორმეტ-საათიანი დღე და მთელი სამასსამოცდახუთი თორმეტი საათიანი დღე წავიდა და დიღუპა ეს ამოდენა დღე და ღამე, ეს ამოდენი დრო და ჟამი იქ, საცა სიცოცხლე უამისოდაც წუთია. **დროთა ბრუნვაში რომ ეს ამოღება ღალა წაართვა ჩვენს სიცოცხლესა, სამაგიეროდ რა ნუგები მოგვცა, რა გვითხინა, რა მოგვამოგვინა, რა დაგვამუნათა?**“

მოხივებება და სიცოცხლის წარსული დღენი-კი აღარა. **ვაი ფუჭად განვლილს სამასს სამოცდა ხუთს დღეს და ღამეს. ჩვენს სიცოცხლეს ეს ამოღება წაგვნი მოაკლდა და ერთის გვერდის ოდენაც-კი არა შეგვამტნინა რა.** უნდა ვტიროდეთ და არ გვიხაროდეს კი, რომ ესე უგემურად, ურგებად დღენი ჩვენნი დავლიეთ. აქ სინანულს უფრო მეტი ადგილი აქვს, ვიდრე სიხარულს, გლოვას და სამძიმარს, ვიდრე მხიარულებასა და მილოცვ-მოლოცვას“.

სინანულიც კაი საქმეაო, ამბობს ილია, მაგრამ ვინმესგან მსგავსი რამ გსმენიათ? ვინმე ნახეთ საგონებელში ჩავარდნილი, სინდის-ნამუსგაღვიძებული? არა ყველა დიდ გულზეა, ბაქი-ბუქობს, უსირცხვილოდ კვლავ ნაცარს აყრის ხალხს თვალში. არადა, „განკითხვა თავისის თავისა ბევრს მიზეზს დაგვანახებდა ჩვენის უბედურებისას და ქარისაგან მოტანილს სიხარულს ძველის წასვლისას და ახლის მოსვლისას ქარსავე გაატანდა, მაგრამ სად არის. სინანულისა და განკითხვისათვის აღარც გუ-

«რა ნითელი კოჭი უნდა ბრძანდებოდეს ჩვენთვის ეს ახლად მოხილი ახალი წელიწადი... აბა ერთი გვიბრძანეთ, — რა მოვუხანით, რა მოვუთხანთ, რომ რა მოგვამოგვინოს?»!



«ჩვენთვის ისინი დიდი ბედნიერება იქნებოდა, რომ უბედურების ქარის დახურვას და შიგნიდან ჩაქატას მაინც ვლირებოდით. ეს რომ მაინც ეწყალობაინა კველს წელიწადს, კიდეც ღვართს გადლოვას ვეცოდით»

და შვილი ისე გამოვნახოთ, ქართულის ანდაზისამებრ, და მაშინ დავინახავთ, — **რა ნითელი კოჭი უნდა ბრძანდებოდეს ჩვენთვის ეს ახლად მოხილი ახალი წელიწადი, რომლის მზე და მთვარე, ნათელი და ბნელი პირველ შეხედვით თვალთ არა სჩანს, აბა ერთი გვიბრძანეთ, — რა მოვუხანით, რა მოვუთხანთ, რომ რა მოგვამოგვინოს.**

„ყოველი მსგავსი მსგავსსა ჰშობსო“, ნათქვამია, და უხეირო, უსაქმურ წელიწადისაგან ნამობი რა ხეირს მოგვითქვანს. განა ამისთანა წელიწადი ერთი და ორია!.. ეს რამდენი დრო და ჟამია, რაც ჩვენ ვიძახით: „ნახდნენ ყოველნი ჩვენთვისა, რაიც გვექონდა ქონებანიო“. ვინ არის ამის მიზეზი? არავინ, ჩვენს მეტი, და ამის მაგიერ, რომ ყოველმა ახალმა წელიწადმა ჩვენს თავზე მიგვახედოს, დაგვიყინა „შემოვდგით ფეხი და გწყალობდეთ ღმერთით“ და გვგონია, რომ რაკი ეს ვთქვით, ციდან მანანა ჩამოვდა და პირში ჩავგივარდებოდა. ის-კი აღარ გვახსოვს, რომ **ღმერთი მართლ გამრჯეულის მწყალობელია და უხეიროს, უქმს, უსაქმურს პირს არიდებს.**

დღენი დღესა სცვლიან, წელიწადნი წელიწადს და ჩვენი თავი კი ისევე ისე წყალს მიაქვს, ანდაზისა არ იყოს, — ურია წყალს მიჰქონდა და გზაც ის იყო. გაურჯელს კაცს წყალი წაიღებს, მაშ რა მოუფა. ამას დიდი ღარი და ხაზი არ უნდა.

„ღმერთმა ტკბილად დაგაბეროსო“, ერთმანეთისათვის ვნატრულობთ ხოლმე, როცა-კი ახალი წელიწადი კარს დაგვირაკუნებს. რა დიდად სანატრელი რამ არის ეს დაბერება. დაბერებიდან ერთი ფეხის გადადგმალა სიკვდილამდე. და რაკი ამაზე მიდგება საქმე, მაშინ ყოველისფერი მწარეა. ან თვითონ სიბერე თავის-თავად მწარეზე უმწარესი არ არის განა? თუ ესეა, აბა ესეა თარგმნეთ, რას ნიშნავს ტკბილად დაბერება? ამ კარაა, ტკბილად დამწარებას და ნუთუ ამაზე უკეთესი სანატრელი აღარა გაგვანია-რა. ამაზე უკეთესი სანატრელი ველარა გვიპოვია-რა. ნატრული უნაროც კი დაგვკარგვია, მოდი და წყალი ნუ წაგიღებს ამისთანას. სხვა რა გზაა?

სხვა გზა ის არის, რომ ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუგულადოთ და ამისთვის ღონე ღონეს გადავვათ, მხარი მხარს მივცვათ, ერთმანეთის სიყვარული ვამოციოთ და ამ ნიღბაულს ახალ წელიწადს იმას ვამინებებთ, რაც ჩვენ გვიწოდებდა არა იმას, რაც მასა ჰსურს. ვიხსენოთ ერთად-ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის დოვით. ვინც მხნაა, ის ქლინია. მამ „მხნა იყავ და განქლინდი“ — აი ჩვენი სანახლწლო მოლოცვა, ჩვენი სანახლწლო ნატვრა.



ლი გვაქვს გულის ადგილას და აღარც ჭკუა ჭკუის ადგილას და ვიძახით წარამარად „დრონი მეფობენო“, მაშინ, **დრო მხოლოდ იგი ქვევრია, რომელიც მართლ იმას ამოიძახებს ხოლმე, რასაც თვითონ კაცი ჩასახებს“.**

ჩვენ ახალ წელიწადს მაინც რაღაც იმედით ვებლაუჭებით, რაღაც სიხარულით შევნატ-

რით. მეტი რა გზაა, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. ჩვენც ასე მოგვდის. „მართალია, დღევანდელის დღის გამწარებული კაცი ხვალის იმედზეა ხოლმე, მაგრამ ესეც კი უნდა ვიცოდეთ, რომ ხვალე შეიღია დღევანდელის დღისა და დღევანდელი დღე შეიღია გუშინდელისა. რაკი ასეა, მაშ დედა ვუნახოთ, მამა ვუნახოთ

«ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუგულადოთ და ამისთვის ღონე ღონეს გადავვათ, მხარი მხარს მივცვათ, ერთმანეთის სიყვარული ვამოციოთ და ამ ნიღბაულს ახალ წელიწადს იმას ვამინებებთ, რაც ჩვენ გვიწოდებდა არა იმას, რაც მასა ჰსურს. ვიხსენოთ ერთად-ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის დოვით. ვინც მხნაა, ის ქლინია. მამ «მხნა იყავ და განქლინდი» — აი ჩვენი სანახლწლო მოლოცვა, ჩვენი სანახლწლო ნატვრა»

უფლის რჩეული ოთხი ათეული წლის მანძილზე მოციქულაზრივი მოპურნეობით იღვწოდა ქრისტეს ეკლესიისათვის. ერთხელ წმიდა ეგნატე ზეცად იქნა აღტაცებული და საღვთო ჩვენებით იხილა ანგელოზთა ორი დასი, რომელიც მონაცვლეობით აქაზდა ყოვლადწმიდა სამებას. ამის შემდეგ მან ანტიოქიის ეკლესიაში შემოიღო ანტიფონური ბალოზა, რაც თანდათან სხვა ქრისტიანულ ეკლესიაშიც დამკვიდრდა.

საქართველო



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მღვდელმონაქმე ეგნატე ღმერთშემოსილის წამების დღე, 2 იანვარი, მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მისი ხსენების დღედ დაადგინა. უფლის რჩეული ოთხი ათეული წლის მანძილზე მოციქულბერივი მოპურნეობით იღვწოდა ქრისტეს ეკლესიისათვის. ანტიოქიის ეკლესია დევნისა და რბევისაგან რომ დაეცვა, ამისთვის წმიდა მღვდელმთავარმა სიცოცხლე განირა. იმპერატორ ტრაიანეს ბრძანებით, წმიდა ეგნატე რომში ლომებს მიუგდეს დასაგლეჯად. მღვდელმთავარი სიხარულით შეხვდა განაჩენს.

მღვდელმონაქმე ეგნატე ღმერთშემოსილი სირიაში დაიბადა. ნეტარი სწორედ ის ყრმა იყო, რომელიც მაცხოვარმა მონათვეებს შორის დააყენა და თქვა: «უკუეთუ არა მოიქცეთ და იქმნეთ, ვითარცა ყრმა-ნი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა» (მთ. 18,3). მოგვიანებით ეგნატე წმიდა იოანე ღვთისმეტყველს დაემონაფა და მოციქულთა კრების გადაწყვეტილებით, ანტიოქიის ეპისკოპოსად იქნა დადგენილი (წმიდანი ანტიოქიის მეორე მღვდელმთავარი იყო — სამოცდაათათაგანი მოციქულის, ევოდის შემდგომ).

უფლის რჩეული ოთხი ათეული წლის მანძილზე მოციქულბერივი მოპურნეობით იღვწოდა ქრისტეს ეკლესიისათვის. ერთხელ წმიდა ეგნატე ზეცად იქნა აღტაცებული და საღვთო ჩვენებით იხილა ანგელოზთა ორი დასი, რომელიც მონაცვლეობით აქებდა ყოვლადწმიდა სამებას. ამის შემდეგ მან ანტიოქიის ეკლესიაში შემოიღო ანტიფონური ბალოზა, რაც თანდათან სხვა ქრისტიანულ ეკლესიებშიც დამკვიდრდა. ქრისტიანთა დევნის დროს მეუფე განამტკიცებდა მრევლს და თავადაც მონამეობის სურვილით იყო ანთებული. სამწყსოს ძალიან უყვარდა თავისი მღვდელმთავარი და მას «ღმერთშემოსილს» ეძახდა.

106 წელს იმპერატორმა

ტრაიანემ (98-117) ბრძანა, სკვიტებზე მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად მთელს ქვეყანაში წარმართული მსხვერპლშენიშნები გაემართათ, ქრისტიანები კი, რომლებიც კერპების თაყვანისცემაზე უარს განაცხადებდნენ, დაეხოცათ. 107 წელს სომხებისა და პართების წინააღმდეგ სალაშქროდ მიმავალმა იმპერატორმა გზად ანტიოქიაზე გაიარა. ანტიოქიის ეკლესია დევნისა და რბევისაგან რომ დაეცვა, წმიდა მღვდელმთავარი თავად გამოცხადდა უსჯულო ხელისუფალთან. ტრაიანე ბევრს ეცადა, კერპებისთვის მსხვერპლის შეწირვაზე დაეყოლიებინა ნეტარი, მაგრამ ვერაფერს გახდა. მაშინ განრისხებულმა იმპერატორმა ბრძანა, წმიდა ეგნატე რომში ლომებისთვის მიეგდოთ დასაგლეჯად. მღვდელმთავარი სიხარულით შეხვდა განაჩენს.

ნეტარი ეგნატე სხვა პურობილ აღმსარებლებთან ერთად ათი მხედრის თანხლებით გამგზავრეს სასჯელის აღსრულების ადგილისკენ. წმიდა მღვდელმთავარმა გზაზე უამრავი დამციროება და ტანჯვა გადაიტანა. ქალაქ სმირნაში უფლის რჩეული შეხვდა თავის მეგობარს, ეპისკოპოს პოლიკარპე სმირნელს. აღმსარებლის მოსანახულებლად, ნუგეშისა და მისაღმი სიყვარულის გამოსახატავად იქ ჩავიდნენ ასიის სხვა ეკლე-

წმიდა მღვდელმთავარი ეგნატე ღმერთშემოსილი



სიების წარმომადგენლებიც. ეგნატე ღმერთშემოსილი ხედავდა, თუ როგორ თანაუგრძნობდნენ მას მართლმორწმუნეები, როგორ წუხდნენ მისი მოახლოებული აღსასრულის გამო და შიში შეეპარა, ვითუ რომელმაც ქრისტიანებმა ჩემი გამოხსნა მოისურვონო. ამიტომ წმიდანმა მათ ეპისტოლით მიმართა, სადაც წერდა: «მეშინის მე სიყვარულისა თქუენისაგან, ნუუკუე ვიმძღავრო მისგან. ნებსით მოვკუდები მე ღმრთისათვის, უკუეთუ ოდენ თქუენ არა დამაბრკოლოთ. ვინაიცა გლოცავ თქუენ, ნუ მარუნებთ ურგებსა წყალობასა და მაცადეთ მე, რაითა ვიქმნე მხეტია შესაჭმელს, რომელთა მიერ მომენიჭების მე მიმთხვევაი ღმრთისაი».

რომაელი ქრისტიანები დიდი სიხარულითა შეხვდნენ უფლის რჩეულს. წმიდა ეგნატემ სასოებით მოიყარა მუსლი და სხვა მორწმუნეებთან ერთად მხურვალედ ილოცა ეკლესიისთვის, ურთიერთშორის სიყვარულისთვის და ქრისტიანთა დევნის შეწყვეტისთვის.

20 დეკემბერს (ახალი სტი-

ლით 2 იანვარს), წარმართულ დღესასწაულზე ეგნატე ცირკის არენაზე გაიყვანეს. მან შემოკრებილ რომაელებს მიმართა: თქვენ იცით, რომ სიკვდილით ვისჯები არა ბოროტმოქმედებისათვის, არამედ ჩემი ერთი ღმერთის გამო, რომლის სიყვარულსაც მოვეუცვივარ და რომლისკენაც ვისწრაფვი, «იფქლი ვარ მე ღმრთისაი და კბილთა მხეტიათა დავიფქვი, რაითა ვიქმნე მე პურ წმიდა ღმრთისა». ამ სიტყვების წარმოთქმა და გააფთრებული მხეცების გამოშვება ერთი იყო.

გადმოცემით, სასიკვდილოდ მიმავალი წმიდა ეგნატე დაუდუმებლად იმეორებდა იესო ქრისტეს სახელს. როცა მას ჰკითხეს, რატომ აკეთებდა ამას, ნეტარმა უპასუხა: ამ სახელს გულით ვატარებ და, ვინც გულშია აღბეჭდილი, ბაგეებითაც მას ვაღიარებო. როცა წმიდანი ლომებმა დაფლითეს, მისი გული უვნებელი აღმოჩნდა. წარმართებმა გაჭრეს იგი და ნახეს, რომ მის შიდა მხარეებზე ოქროს ასოებით იყო ამოტვიფრული: «იესო ქრისტე».

მეუფის საოცარი აღსასრულის შესახებ რომ შეიტყო, ტრაიანემ ქრისტიანთა დევნა შეწყვიტა. უფლის რჩეულის წმიდა ნაწილები ანტიოქიაში გადაასვენეს, შემდეგ კი პატივით დააბრუნეს უკან.

მოშაღდა წიგნიდან «წმიდანთა ცხოვრება», ტომი IV, თბილისი, 2003 წ.

ნეტარი სწორად ის ყრმა იყო, რომელიც მონაცვლეობით აქებდა ყოვლადწმიდა სამებას. ამის შემდეგ მან ანტიოქიის ეკლესიაში შემოიღო ანტიფონური ბალოზა, რაც თანდათან სხვა ქრისტიანულ ეკლესიებშიც დამკვიდრდა.

სასიკვდილოდ მიმავალი წმიდა ეგნატე დაუდუმებლად იმეორებდა იესო ქრისტეს სახელს. როცა მას ჰკითხეს, რატომ აკეთებდა ამას, ნეტარმა უპასუხა: ამ სახელს გულით ვატარებ და, ვინც გულშია აღბეჭდილი, ბაგეებითაც მას ვაღიარებო. როცა წმიდანი ლომებმა დაფლითეს, მისი გული უვნებელი აღმოჩნდა. წარმართებმა გაჭრეს იგი და ნახეს, რომ მის შიდა მხარეებზე ოქროს ასოებით იყო ამოტვიფრული: «იესო ქრისტე»



წარმართულ დღესასწაულზე ეგნატე ხიჩკის არენაზე გაიყვანეს. მან შემოკრებილ რომაელებს მიმართა: თქვენ იცით, რომ სიკვდილით ვისჯები არა ბოროტმოქმედებისათვის, არამედ ჩემი ერთი ღმერთის გამო, რომლის სიყვარულსაც მოვეუცვივარ და რომლისკენაც ვისწრაფვი, «იფქლი ვარ მე ღმრთისაი და კბილთა მხეტიათა დავიფქვი, რაითა ვიქმნე მე პურ წმიდა ღმრთისა». ამ სიტყვების წარმოთქმა და გააფთრებული მხეცების გამოშვება ერთი იყო



ყველაზე ყველაზე...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ყატარელმა 4 წლის გოგონამ, ეშალ მარვა ფიროს ხანამ, მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 2 წუთსა და 28 წამში დაასახელა მენდელეევის პერიოდულულობის სისტემის ყველა ქიმიური ელემენტი და გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა.



ათეულობით ადამიანი (არამხოლოდ) ყოველწლიურად გვაოცებს უცნაური მიღწევებით. წლის ბოლოს გიამბობთ საოცარ ადამიანებზე, ცხოველებსა და მექანიზმებზე, რომელთა მიღწევებიც 2021 წლის გინესის რეკორდების წიგნში შეიტანეს. ალსანიშნავია, რომ წელს გინესის რეკორდების წიგნში შევიდა 5 წლის ქართველი გოგონაც.

რეკორდები, რომლებიც 2021 წლის «გინესის რეკორდების წიგნში» შევიდა



ჩუბჩუბის კუბი ფუნჯებით ააწყო

2021 წლის 19 ოქტომბერს „რუსთავი 2“-ის ეთერში გინესის რეკორდი დამყარდა. პროექტ „ნიჭიერში“ 5 წლის **ანა მარჩილაშვილი** რუბიკის კუბი 2,57 წუთში ფუნჯებით ააწყო.

ყველაზე მეტი სალტო ხეხსლით

ბრიტანეთში სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს უკუსალტო პირიდან ცეცხლის ამოფრქვევასთან ერთად. **რაინს ლუნის** უკუსალტოს შესრულებისას პირიდან ცეცხლი 17-ჯერ გამოაფრქვია, კიდევ 11-ჯერ — 360-იანი ბრუნის შესრულების მომენტში.



ყველაზე მაღალი სტატუსი

სარდარ მალაბაზი პატალი, დამოუკიდებელი ინდოეთის ერთ-ერთი ბელადი, ისეთი დიდი იყო, რომ გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. მისი სტატუსი, რომელიც 182 მ-ის სიმაღლისაა, 2-ჯერ მეტია ნიუ-იორკის ცნობილ თავისუფლების ქანდაკებაზე. სტატუსს, რომელსაც 6 წლის განმავლობაში აკეთებდნენ, 25 ათასი ტონა ფოლადი და 1850 ტონა ბრინჯაო დასჭირდა.

ავტოპუსის ყველაზე დაბალი მკვრივი

რეკორდის მფლობელი კატეგორიაში „ავტობუსის ყველაზე დაბალი მკვრივი“ არის 57 წლის **ფრენკ ფაინკ პაჩიმი**. ის ბრიტანეთში ცხოვრობს. პეჩიმი, რომელმაც 1989 წელს აიღო მართვის მოწმობა, ბოლო სამი წელიწადია, ავტობუსის მძღოლად მუშაობს. მისი სიმაღლე 136,2 სანტიმეტრია.



დოინო ადამიანებისგან

რიო-დე-ჟანეიროს მცხოვრებლებმა ადამიანებისგან დომინოს ჯაჭვი გააკეთეს — განლაგდნენ სპირალისებურად, მიიბეს ლეიბები (ნამდვილად შეშურდებოდა **თაპო ჩარკინის**, რომელიც ამბობდა, რუსთაველზე ლეიბები გავშალოთ და გავწვეთო) და ერთმანეთის მიყოლებით ძირს ეცემოდნენ — ეს ყველაფერი 11 საათსა და 13 წამს გრძელდებოდა. ეს რეკორდი გინესის რეკორდების წიგნში შევიდა.



117 წლის ქალი

იაპონიაში ბევრია ხანდაზმული ადამიანი, მაგრამ იაპონიის საპენსიო ფონდისთვის „პრობლემა“ **კინი ტანაკა**, რომელიც 117 წლისაა. ის ყველაზე მსცოვანია დედამიწაზე ამჟამად მცხოვრებ ადამიანებს შორის.

4 წლის გოგონამ მენდელეევის სისტემის ყველა ქიმიური ელემენტი დაასახელა

ყატარელმა 4 წლის გოგონამ, **ეშალ მარვა ფიროს ხანამ**, მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 2 წუთსა და 28 წამში დაასახელა მენდელეევის პერიოდულულობის სისტემის ყველა ქიმიური ელემენტი და გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. ქიმიური ელემენტების პერიოდულულობის სისტემა, ანუ მენდელეევის ცხრილი ქიმიური ელემენტების კლასიფიკაციაა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია ელემენტების სხვადასხვა თვისება მათი ატომური მასისა და მუხტის მიხედვით. ეს ცხრილი 1869 წელს შექმნა რუსმა მეცნიერმა **დიმიტრი მენდელეევი**.



ყველაზე სწრაფი ტრაქტორი

ტრაქტორი არასდროს ასოცირდება სიჩქარესთან. მანევრირება, აეროდინამიკა, ინტელექტი — დიას, ოლონდ სიჩქარე — არა. JCB Fastrac-ი მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ტრაქტორია. დიას, გადააკეთეს, მაგრამ ეს სულაც არ აკნინებს მის ფენომენურ სიჩქარეს (217,57 კმ/სთ). რეკორდის დამყარების მომენტში ტრაქტორს მართავდა ჟურნალისტი და ავტომობილი **ბანი მარტინი**.



სათამაშოების ყველაზე დიდი კოლექცია

ამერიკელი **პოლ სპარდინო** დღესაც განაგრძობს სათამაშოების შეგროვებას. ის პირველად 2018 წელს მოხვდა „გინესის რეკორდების წიგნში“. მას შემდეგ Funko Pop-ის სათამაშოების კოლექცია კიდევ უფრო გააფართოვა და დღეს ის 5 306 თოჯინას ითვლის.

ჰაიბრი — ყველაზე ბრძანებრივი იაქი

ეს ცხოველი ბუნების ნამდვილი საოცრებაა. იაკს სახელად ჯერიჩოს, რომელიც ამერიკელების — **ჰიუ და მლოდი სმითების** — საკუთრებაა, უზარმაზარი ხვეული რქები აქვს, რომელთა საერთო სიგრძე 3 მეტრი და 46 სმ-ია. **მოამზადა ნიკა კორინთელა**

ბევრს, ალბათ, გაუკვირდება, რომ სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობების ჩამონათვალში კალათბურთს მხოლოდ მე-7 ადგილი უკავია. მსოფლიოში დღეს კალათბურთს თვალყურს ადევნებს დაახლოებით 825 მლნ ადამიანი. ამასთანავე, ისინი, ძირითადად, ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციისა (NBA) და ევროპის საკალათბურთო ლიგის გუნდების ფანები არიან.

სპორტი



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სპორტი ყოველთვის იყო, არის და იქნება უამრავი ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. ის ფიზიკური მარცვლებების გაუმჯობესებასა და ჯანმრთელობის პრობლემებთან გამკლავების საშუალებას გვაძლევს. დღეს სპორტის ძალიან ბევრი სახეობა არსებობს და სპეციალისტებმა გაარკვიეს, რომელი იყო მათგან ყველაზე პოპულარული, ანუ რომელ სახეობას ჰყავდა ყველაზე მეტი მიმდევარი და მაყურებელი 2021 წელს.

სპორტის როგორი სახეობები იყო ყველაზე პოპულარული 2021 წელს



10. გოლფი

გასაკვირი არ არის, რომ გოლფი ხსნის სპორტის ყველაზე პოპულარული 10 დისციპლინის ათეულს, იმიტომ, რომ გოლფის თამაში ყველას შეუძლია. ის სპორტის იმ მცირერიცხოვანი სახეობების კატეგორიდანაა, რომელშიც მნიშვნელობა არ აქვს, როგორ ფიზიკურ ფორმაში იმყოფები ან როგორი თვალსაზრისი გაქვს ცხოვრებაზე. სტატისტიკის მიხედვით, მსოფლიოში დღეს გოლფით 450 მლნ ადამიანი დაინტერესებული. ყველაზე მეტი მიმდევარი და მაყურებელი კი აშშ-სა და იაპონიაში ჰყავს.



9. რაგბი

საქართველოში რაგბი უფრო და უფრო იხვეჭს პოპულარობას, მსოფლიოში კი ის გოლფზე პოპულარულია და ამიტომაც არის ამ სარეიტინგო სიაში მე-9 ადგილზე. სტატისტიკური მონაცემებით, დღეს რაგბით 475 მლნ ადამიანი დაინტერესებული. სპორტის ეს სახეობა ყურადღებას იპყრობს, უწინარესად, დინამიკურიობითა და ძალისმიერი მომენტებით, მისი თამაში მხოლოდ ფიზიკურად ძლიერ და ამტან სპორტსმენებს შეუძლიათ.



8. ბეისბოლი

სპორტის ეს სახეობა საქართველოში დიდად ცნობილი არ არის, სამაგიეროდ, აზიის ქვეყნებში, აგრეთვე, აშშ-სა და კანადაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. 2021 წელს მას 500 მლნ გულშემამტკივარი ჰყავდა.



7. კალათბურთი

ბევრს, ალბათ, გაუკვირდება, რომ სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობების ჩამონათვალში კალათბურთს მხოლოდ მე-7 ადგილი უკავია. მსოფლიოში დღეს კალათბურთს თვალყურს ადევნებს დაახლოებით 825 მლნ ადამიანი. ამასთანავე, ისინი, ძირითადად, ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციისა (NBA) და ევროპის საკალათბურთო ლიგის გუნდების ფანები არიან. ექსპერტთა აზრით, კალათბურთის პოპულარობა დროთა განმავლობაში უფრო მოიმატებს.



6. მაგიდის ჩოგბურთი

სარეიტინგო სიაში მაგიდის ჩოგბურთის მე-6 ადგილი აზიის სპორტის ამ სახეობის დიდმა პოპულარობამ განაპირობა. მაგალითად, ჩინეთში ბავშვობიდანვე ხელში უჭირავთ ჩოგანი. ამჟამად მაგიდის ჩოგბურთის მიმდევართა და გულშემამტკივართა რაოდენობა 875 მლნ კაცია. ამასთანავე, მხოლოდ აზიაში სპორტის ამ სახეობით პროფესიონალურ დონეზე დაკავებულია 5,5 მლნ ადამიანი.



5. ფანჯურთი

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ფრენბურთი სპორტის ერთ-ერთი პოპულარული სახეობაა. 2021 წელს ფრენბურთის შეჯიბრებებმა 900 მლნ-ზე მეტი ადამიანი მიიზიდა მსოფლიოში. ეს ყველაფერი იმიტომ, რომ პლანეტაზე 200-ზე მეტი ეროვნული საფრენბურთო ორგანიზაციაა და სპორტის ეს სახეობა უფრო და უფრო ვითარდება.

4. ჩოგბურთი

სპორტის ამ სახეობამ, დიდი ხანია, მოიპოვა პოპულარობა მსოფლიოში. თითქმის არც ერთი დიდი შეჯიბრება 5-6 მსოფლიო ვარსკვლავის გარეშე არ ტარდება, რომლებიც მომავლო ეტაპზე თამაშს აჩვენებენ კორტზე. სპეციალისტთა დათვლებით, 2021 წელს ჩოგბურთის მოყვარულთა რაოდენობამ 1 მლრდ-ს გადააჭარბა.



3. ჰოკეი

მიუხედავად იმისა, რომ ჰოკეი სპორტის ზამთრის სახეობაა და მისი სეზონი 5 თვეს გრძელდება, ის მაინც ძალიან პოპულარულია. ამჟამად სპორტის ამ სახეობაში გამართულ შეჯიბრებებს 2 მლრდ-მდე ადამიანი ადევნებს თვალს, ძირითადად, ჰოკეის ნაციონალური ლიგისა (აშშ, კანადა) და ჰოკეის კონტინენტური ლიგის (რუსეთი, ბელარუსი, ლატვია, ფინეთი, ყაზახეთი) ფანები.



2. კრიკეტი

ეს 2021 წლის მთავარი მოულოდნელობაა, იმიტომ, რომ ადრე კრიკეტი სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობების ათეულში ვერ შედიოდა. დღეს სპორტის ამ სახეობას 2,5 მლრდ ადამიანი უყურებს. ეს თამაში განსაკუთრებით პოპულარულია ინგლისში, ახალ ზელანდიაში, ინდოეთსა და ავსტრალიაში.



1. ფეხბურთი

ფეხბურთი, რა თქმა უნდა, კვლავ პირველია. მას მსოფლიოში 4 მლრდ-ზე მეტი ადამიანი უყურებს. ეს სპორტის ხელმისაწვდომი სახეობაა, რომლითაც ყოველწლიურად დაკავებულია მილიონობით მოზარდი და ფეხბურთის პოპულარობა უფრო და უფრო იზრდება.

42 400 ვიზიტორი 9 თვეში — როგორი კვალი დატოვა სტალინის სახლის მუზეუმის მფლობელი

2021 წლის 9 თვეში იოსებ სტალინის სახლ-მუზეუმს 42 400 ვიზიტორი ჰყავდა. მათგან 36 042 უცხოელი იყო. სტატისტიკა მარტიდან დეკემბრამდე პერიოდს მოიცავს, რადგან მუზეუმების კოვიდრეგულაციების გამო იანვარ-თებერვალში არ მუშაობდა.

პანდემიამდე 2019 წელს მუზეუმს 175 962 დამთვალიერებელი ჰყავდა, პანდემიურ 2020 წელს კი — 10 916. სტალინის სახლ-მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი ქეთევან ახოზაძე ამბობს, რომ დამთვალიერებლების ძირითადი ინტერესი ბელადის პი-



რადი ცხოვრების დეტალები. „ჩვენს მუზეუმს საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტორი ჰყავს, რომელთა დიდი ნა-

წილი პოლონეთიდან, რუსეთიდან, ისრაელიდან და ყაზახეთიდანაა. თუმცა მთელი მსოფლიოდან ჩამოდიან. ძირითა-

დად დაინტერესებულნი არიან სტალინის პირადი ცხოვრების დეტალებით. ჩვენთან იხილება მისი პირადი წერილები და ნივთები.

სტალინის სახლ-მუზეუმში მდებარეობს გორში, ქალაქში, სადაც სტალინი დაიბადა. სამუზეუმო კომპლექსი 1957 წელს სტალინის გარდაცვალების შემდეგ გაიხსნა. თუმცა იმ სახლში, სადაც სტალინი დაიბადა, მემორიალური მუზეუმი ჯერ კიდევ 1937 წლიდან არსებობდა. ორსართულიანი საექსპოზიციო შენობა კომპლექსის პროექტი არჩილ ქურდიანის პროექტით აშენდა.

bpn.ge

The Telegraph: დაგვიჩვენე ნალი კიდე უფრო ხუდი იქნება ბაიდენის და მთლიანად დასავლეთისთვის

წელიწადში, რომლისგანაც დასავლური ალიანსისა და მისი გაგვიანების აღორძინებას ელოდნენ, მოიტანა არა მხოლოდ მწარე იმედგაცრუება, არამედ არნახული მასშტაბის კატასტროფა.

ოვალურ კაბინეტში ჯო ბაიდენის შესვლის შემდეგ გაჩნდა იმედი, რომ მისი პრეზიდენტობისას დაბრუნდებოდა უთანხმოება, რომელმაც გააუარესა ტრანსატლანტიკური ურთიერთობები დონალდ ტრამპის პრეზიდენტობისას. ამის შესახებ თვითონ ბაიდენმა განაცხადა, როცა თავის საინაუგურაციო სიტყვაში ყველას დაჰპირდა, რომ „დაიცავდა დემოკრატიას“, შემდეგ გამოსვლაში კი თქვა, რომ აღადგენდა ვაშინგტონის წამყვან პოზიციებს მსოფლიო არენაზე.

„ამერიკა დაბრუნდა და, აგრეთვე, დიპლომატიაც“, — განაცხადა ბაიდენმა და დასძინა, რომ მისი ადმინისტრაცია „აღადგენს პრესტიჟსა და მორალურ ავტორიტეტს“. რა უაზროდ იმის ეს სიტყვები დღეს! რადგან ბაიდენმა არა მხოლოდ ვერ აღადგინა დასავლეთის ჰეგემონია მსოფლიო არენაზე, არამედ დაუშვა დასავლეთის გაგვიანების კატასტროფული ეროზია და ეს დემოკრატიას კარგს არაფერს უქადის მომავალ წელს. დიდწილად აშშ-ის ლიდერის ბრა-



ლია დასავლეთის პრესტიჟის მკვეთრი დაცემა, რადგან მისი სისუსტე და გაუბედობა აშკარა ყველასთვის, განსაკუთრებით ისეთი მონინალდმდეგებისთვის, როგორებიც არიან რუსეთი და ჩინეთი...

ივნისში ბაიდენისა და პუტინის შეხვედრა ორსაათიან შეხვედრას კრემლი უნდა დაერწმუნებინა, რომ აშშ სერიოზულად ეკიდება გლობალური ლიდერის როლს, მაგრამ პუტინმა აშკარად უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა.

ახლაც კი, როცა მოსკოვმა, როგორც ამტკიცებენ, უკრაინის აღმოსავლეთ საზღვრებთან 100 ათას ჯარისკაცზე მეტს მოუყარა თავი, სულაც არ არის გამორიცხული, რომ ბაიდენმა

კრემლის დასამშვიდებლად კიევს სრულიად გადაუწეროს იმედი ნატოს სრულყოფილებიან წევრობაზე. ეს სრულიად მოსალოდნელია იმ ადამიანისგან, რომელმაც 4 თვის წინათ მთელი ერი მიატოვა „თალიბანის“ საჯიჯგანად, როცა ცალმხრივად დაარღვია აშშ-ის 20-წლიანი ვალდებულება ავღანეთის ხალხის წინაშე...

მართალია, ბაიდენის ადმინისტრაციის მიმართ ნდობის ბოლო ბასტიონი ზაფხულში ქაბულიდან გაქცევის შემდეგ დაინგრა, მაგრამ არც ევროპული სახელმწიფოების ბოლოდროინდელი მოქმედებები და მამამშვიდებელი ხელოვნურად შექმნილი ენერჯეტიკულმა კრიზისმა გერმანელე-

ბი დააფიქრა მოსკოვის მიმართ ენერჯეტიკულ დამოკიდებულებაზე „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის გამო, საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი კი მთელი წლის განმავლობაში ებრძოდა ბრიტანელებს ბრეჯიტის გამო.

დასავლურ ალიანსში ძლიერი და ეფექტიანი ხელმძღვანელობის არარსებობა სერიოზული შეფოტების საგანი იქნება მომავალ წელსაც. როგორც ბრიტანეთის შვიარაღებული ძალების ყოფილი ხელმძღვანელი, გენერალი სერ ნიკ პარტიტი გააღვიძრებდა ცოტა ხნით ადრე გვაფრთხილებდა, დასავლეთსა და მის მონინალდმდეგებს შორის მთავარი რისკი არის ის, რომ ნებისმიერი მხარის ტრაგიკულმა შეცდომამ შეიძლება დასავლური დაპირისპირება გამოიწვიოს.

პეკინიდან მოსკოვამდე და თეირანიდან ქაბულამდე მსოფლიო 2022 წელს უფრო სახიფათო იქნება, ვიდრე დღეს არის. დასავლეთის მთავარი უბედურება კი არის ის, რომ მას არ ჰყავს ძლიერი და ერთიანი ხელმძღვანელობა, რომლის გარეშეც მის წინაშე არსებულ ამოცანებს ვერ გაუშკლავდება.

inosmi.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ბიორაზი ბაჩინილაძემ



ყველაზე დიდი საუბარო ნაპის ხე

მსოფლიოში ყველაზე დიდი საუბარო ნაპის ხე იტალიაშია. ნაპის ხის სიღრმე — გირლანდების ინსტალაცია — ცენტრალური იტალიის პროვინცია უმბრიის ქალაქ გუბიოს მთაზე ჩანს.

ასეთ ნაპის ხეს ყოველწლიურად ანათებენ 1981 წლიდან. წელს ნაპის ხის ანთების

ცერემონია 7 დეკემბერს გაიმართა. ნაპის ხის სიმაღლე 750 მეტრია, ხოლო საერთო სიგრძე ყველა ელექტროსადენისა, რომლებიც ნაპის ხისთვისაა გამოყენებული, დაახლოებით 8,5 კმ-ია.

iz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორნეტოვა



ლავროვი: ნატო უკრაინის შეყვანა მასშტაბური კონფლიქტის რისკს ქმნის

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსში უკრაინის შეყვანითა და რუსეთის საზღვართან შეტევითი სარაკეტო კომპლექსების განლაგების შესაძლებლობის მოპოვებით ნატო ევროპაში მასშტაბური კონფლიქტის დაწყების რისკს ქმნის.

„ნატოში უკრაინის ჩართვით და ჩვენი ძველის საზღვრებთან შეტევითი

სარაკეტო კომპლექსების განლაგების პერსპექტივით ჩრდილოატლანტიკური ალიანსი რუსეთის უსაფრთხოების მუშაობას და სერიოზულ საშიშროებას ქმნის მასშტაბური კონფლიქტის დაწყების რისკს ქმნის.“

გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მანისურაძემ

2021 წლის საუკეთესო სპორტსმენებს ლავრა ტალახა და ლავრა ბაჩუაძე დაასახლეს



საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა წლის საუკეთესო სპორტსმენის დაჯილდოების ცერემონია ჩაატარა. „2021 წლის საუკეთესო სპორტსმენის“ ნომინაციაში წელს ორი გამარჯვებული გამოვლინდა — ძალოსანი ლავრა ტალახა და ძიუდოსტი ლავრა ბაჩუაძე. 2021 წლის საუკეთესო ქალ-სპორტსმენად ძიუდოსტი თეონა ლიპარტიანი დასახელდა, საუკეთესო მწვრთნელად — ძიუდოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლავრა გუჯაძეანი.



თუ გზურთ, გაზეთი „საქართველო“ და მსოფლიო მივიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საპირიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას „ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

ქია სპ, მეტი სარეკლამო ალარ იქნება!



ამა წლის 25 დეკემბერს მოსკოვში აშშ-ს საელჩოს შენობა სამოქალაქო აქტივისტებმა ფერადი ილუმინაციით განათეს. შენობის ფასადზე რიგ-რიგობით განჩნდა წარწერები: „ქია სპ, ბილდობა მოგას!“; „30 წლის წინ შენ გმხმინებდი საშობაო სარეკლამო მიიღე!“, „მაგრამ მეტი სა-

რეკლამო ალარ იქნება!“.

ცნობისათვის: 1991 წ. 25 დეკემბერს გადადგა სსრკ-ს პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი. იმავე დღეს, მოსკოვის დროით 17 სთ-სა და 35 წუთზე კრემლზე დაეშვა სსრკ-ს დროშა. სსრკ-ს კავშირმა არსებობა შეწყვიტა.

www.geworld.ge საქართველო ისტორიული ჩვენს სანტს პოლიტიკა ეკონომიკა სავაჭროკავშირები ადამიანის უფლებები ისტორია

სარეკლამო კოლეჯი გაზეთი ხელმძღვანელობს თქვენი უფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ექირსებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიციები შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორის მოსაზრებებს. მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6 ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894 9 772233 389009